ENPARD

EUROPEAN NEIGHBOURHOOD PROGRAMME
FOR AGRICULTURE AND RURAL DEVELOPMENT

# **სოფლის მეურნეობის** ხელშეწყობა **ფერმერების** გაძლიერება **ადამიანთა ცხოვრების** გაუმჯობესება

**სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია საქართველოს სამუშაო ძალის 55%, მაგრამ იგი ქვეყნის მშპ-ის მხოლოდ 9,3%-ს შეადგენს**

# საქართველოში სიღარიბის ერთ-ერთი ძირეული მიზეზი ის არის, რომ ვერ მოხერხდა სოფლის მეურნეობის მოდერნიზება.

სოფლის მეურნეობას ყოველთვის გადამწყვეტი ადგილი ეკავა საქართველოს ეკონომიკაში. 1990 წელს სოფლის მეურნეობის წილი მშპ-ში 29,7%-ს შეადგენდა. მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლამ სექტორის პარალიზება გამოიწვია. მიუხედავად იმისა, რომ სექტორში სამუშაო ძალის ორ მესამედზე მეტი იყო დასაქმებული, წარმოება მნიშვნელოვნად შემცირდა: 2013 წელს სოფლის მეურნეობამ მშპ-ის მხოლოდ 9,3% შეადგინა. ასევე მკვეთრად შემცირდა მწარმოებლურობა, რამაც გამოიწვია საქართველოს ჩამორჩენა რეგიონის სხვა ქვეყნებთან შედარებით.

საქართველოს ფერმერების დაახლოებით 95% მცირე ფერმერები არიან, რომლებიც ჩვეულებრივ ამუშავებენ ერთ ჰექტარ მიწას და საშუალოდ ორ ძროხას ფლობენ. შეზღუდული წარმოება ართმევს მათ შესაძლებლობას, კონკურენცია გაუწიონ იმპორტს და, ამავე დროს, დაბალი შემოსავალი იმას ნიშნავს, რომ ისინი ვერ შეძლებენ ხელახალ ინვესტირებას მათი მიწისა და საქონლის მწარმოებლურობის გასაუმჯობესებლად. ამის შედეგად ვღებულობთ ფერმერული საქმიანობის მხოლოდ თავის გატანის მიზნით წარმოების და სიღარიბის მანკიერ წრეს.

ამიტომ სოფლის მეურნეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეკონომიკისთვის. ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ამჟამინდელი სამოქმედო გეგმა განსაკუთრებულ პრიორიტეტს ანიჭებს ამ სექტორის განვითარებას და მის უფრო კონკურენტუნარიანად ქცევას როგორც თავად ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

და ეს სწორედ რომ დროულია. 2014 წლის ივნისში საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ (DCFTA), რომელიც ქართულ პროდუქციას გზას უხსნის იმ 500 მილიონი მომხმარებლისაკენ, რომლებიც ევროპულ ბაზარს წარმოადგენენ.

| ENPARD ციფრებში (მილიონი ევრო) | |
|---|---|
| **ფინანსური დახმარება საქართველოს მთავრობას** („საბიუჯეტო დახმარება“) | **24.5** |
| 2014-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის განხორციელება | 7 |
| სულ მცირე 30 რაიონში ფერმერებისთვის საკონსულტაციო სამსახურების დაარსება | 5.5 |
| სახელმწიფო პროგრამები ფერმერთა სულ მცირე 350 კოოპერატივისთვის დახმარების გასაწევად | 8.5 |
| სოფლის მეურნეობის სამინისტროში პოლიტიკის დანაყოფის შექმნა | 2 |
| სოფლის მეურნეობის სტატისტიკის გაუმჯობესება | 1.5 |
| **სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა** | **7** |
| სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) ექსპერტთა გუნდი სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის დახმარების გასაწევად | 2.5 |
| ტექნიკური დახმარების გაწევა კოოპერატივების განვითარების სააგენტოსათვის | 2.5 |
| გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის ტექნიკური დახმარების გაწევა | 1 |
| გაერო-ს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ აჭარის აგროსერვისცენტრისთვის ტექნიკური დახმარების გაწევა | 1 |
| **არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის განკუთვნილი გრანტები** | **19.75** |
| 4 გრანტი 160 კოოპერატივისთვის ფინანსური და ტექნიკური დახმარების გასაწევად | 16 |
| გრანტები 2 რაიონში სოფლის განვითარების საპილოტე პროექტებისათვის | 3 |
| გრანტები უმაღლესი განათლებისა და კვლევის ხელშეწყობისათვის | 0.75 |
| **შეფასება, მონიტორინგი, საჯაროობა** | **0.75** |
| **სულ** | **52** |

შენიშვნა: 2014 წელს ENPARD-ის თავდაპირველ - 40 მილიონი ევროს ოდენობის - ბიუჯეტს დაემატა 12 მილიონი ევრო საქართველოს მიერ დემოკრატიული რეფორმების განხორციელებაში მიღწეული წარმატების აღსანიშნავად.

ENPARD

EUROPEAN NEIGHBOURHOOD PROGRAMME
FOR AGRICULTURE AND RURAL DEVELOPMENT

# რას წარმოადგენს ENPARD?

ევროკავშირის სამეზობლო პარტნიორობა სოფლის მეურნეობის და სოფლის განვითარებისათვის (ENPARD) ხუთწლიანი პროგრამაა (2013 წლის მარტი – 2018 წლის მარტი), რომელიც მიზნად ისახავს საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის გამოცოცხლებას ხელისუფლებას, სამოქალაქო საზოგადოებასა და ფერმერებს შორის მრავალმხრივი თანამშრომლობის პირობებში. ამ 52 მილიონ ევროიანი პროგრამის ამოცანებია:

- **სექტორის ინსტიტუტების, განსაკუთ-რებით კი სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაძლებლობებისა და ეფექტიანობის გაზრდის ხელშეწყობა;**
- **ფერმერთა „ნოუ-ჰაუს“ გაძლიერება რაიონის დონის საკონსულტაციო და საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით;**
- **ფერმერებთან და ფერმერებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება მწარმოებლურობის გასაზრდელად და მასშტაბზე ორიენტირებული ეკონომიკის მისაღწევად; და**
- **სოფლად დასაქმების მდგომარეობის და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება.**

**სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა**
2014 წელს საქართველოს ხელისუფლებამ მიიღო 2014-2020 წლების სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია, რომელშიც ჩამოყალიბებულია სექტორის მოდერნიზებისთვის აუცილებელი რეფორმები, დაწყებული სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებულ ინსტიტუტებში ცოდნისა და „ნოუ-ჰაუს“ განვითარებით და თანამშრ-ომლობის გაღრმავებით. პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტროს ეწევა დახმარება რეფორმების გასატარებლად მისი შესაძლებლობების გაზრდაში.

ENPARD-ის ფარგლებში სამინისტროსთვის გამოიყოფა 24,5 მილიონი ევროს ფინანსური დახმარება - ანუ საბიუჯეტო დახმარება - მას შემდეგ, რაც შესრულდება ევროკომისიასა და საქართველოს მთავრობას შორის შეთანხმებული პირობები. ეს პირობები მოიცავს ისეთი კანონების გატარებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ფერმერთა და სოფლად მომუშავე მეწარმეთა კონკურენტუნარიანობის გაზრდას, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოდე-რნიზებას მისი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით და საინფორმაციო ქსელის, ანუ საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემის მოწყობას რაიონული დონის საინფორმაციო ცენტრებზე დაყრდნობით.

საინფორმაციო-საკონსულტაციო სისტემა მიზნად ისახავს საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის, ახალი ტექნოლოგიე-ბისა და ეროვნული და საერთაშორისო ბაზრების პირობების შესახებ ფერმერთა ცოდნის გაღრმავებას. ქვეყანაში უკვე შექმნილია 52 საინფორმაციო ცენტრი, რომლებშიც დასაქმებულია 350 სპეციალისტი. ეს სპეციალისტები ფერმერებს ყოველდღ-იურად უწევენ კონსულტაციას. მხოლოდ აჭარის ავტონომიურ რეგიონში დაახლოებით 20 000 ფერმერი იღებს რეგულარულად რჩევებს ექსპერტებისაგან.

კიდევ ერთი პრიორიტეტული სფეროა სექტორში მომუშავე ინსტიტუტებში ცოდნისა და ეფექტიანობის გაუმჯობესება. სოფლის მეურნეობის სამინისტროში პროგრამა ENPARD და სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია (FAO) ერთობლივად მუშაობდნენ პოლიტიკის დანაყოფის შესაქმნელად, მონიტორინგისა და შეფასების სისტემების შემოსაღებად და რეგულარულად აგროვებდნენ ზუსტ სტატისტიკურ მონაცემებს რაციონალური ინვესტიციებისთვის და განვითარებასთან დაკავშირებული

| CARE: | PEOPLE IN NEED: | OXFAM: | MercyCorps: | UNDP: |
|---|---|---|---|---|

**ფერმერთა შესაძლებლობების გაძლიერება**
ევროპაში ფერმერთა კოოპერატივები საშუალებას აძლევს მცირე ფერმერებს, მიაღწიონ მასშტაბზე ორიენტირებულ ეკონომიკას და გავიდნენ ბაზარზე. მაგრამ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა უმეტესობაში სიტყვა „კოოპერატივის“ გაგონებისას ადამიანებს „კოლმეურნეობა“ ესმით - ყოფილ საბჭოთა კავშირში კოლექტიური ფერმერობის ძალზე არაპოპულარული ფორმა. გამონაკლისს არც საქართველო წარმოადგენს: 2013 წლამდე კოოპერატივები აქ ფაქტობრივად არ არსებობდა.

პროგრამა ENPARD-ის ფარგლებში მრავალ დონეზე მიმდინარეობდა მუშაობა ამგვარი დამოკიდებულების შესაცვლელად - დაწყებული კანონმდებლობით და დამთავრებული ცალკეული ფერმერების დამოკიდებულებით. 2013 წელს საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა საქართველოს კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რომელმაც შექმნა სტიმულები ფერმერთათვის ძალების გასაერთიანებლად - კერძოდ, ქონების, საშემოსავლო და გრანტებზე გადასახადებისგან განთავისუფლება. დაარსდა კოოპერატივების განვითარების სააგენტო ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივების შექმნის ხელშესაწყობად და ფერმერების ქმედუნარიანობის გასაზრდელად. სააგენტო ყოველ რეგიონში მუშაობს და თავისი არსებობის პირველი 18 თვის განმავლობაში მან ინფორმაცია მიაწოდა და ტრენინგი ჩაუტარა 32 000-ზე მეტ ფერმერს.

ENPARD-ი ფერმერებთან ურთიერთობას ამყარებს ასევე სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მეშვეობით. თექვსმეტი ქართული და საერთაშორისო ორგანიზაცია დაჯგუფდა ოთხ კონსორციუმად, რომლებსაც ხელმძღვანელობენ CARE (ავსტრია), Mercy Corps (შოტლანდია), Oxfam (გაერთიანებული სამეფო) და People in Need (ჩეხეთის რესპუბლიკა). ამ კონსორციუმებმა მიიღეს გრანტები ქვეყნის 45 რაიონში 160 კოოპერატივის ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. გარდა ამისა, ერთობლივი პროგრამის ფარგლებში, რომლის თანადაფინანსებას გაერო-ს განვითარების პროგრამა ახორციელებს, დახმარება გაეწევა აჭარის ავტონომიურ რეგიონს.

შედეგები იმედის მომცემია. 2014 წლის მაისში 8 რეგიონში ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ იმ მცირე ფერმერთა წლიური პროცენტული ოდენობა, რომლებმაც იციან კოოპერატივების შესახებ, 104%-ით გაიზარდა. 2014 წლის ნოემბრისთვის ქვეყანაში დარეგისტრირდა მცირე ფერმერთა 300-ზე მეტი კოოპერატივი და ეს რიცხვი სწრაფად იზრდება. კოოპერატივები მრავალფეროვან პროდუქციას უშვებენ - რძის პროდუქტებსა და ღვინოს, ციტრუსებსა და ბოსტნეულს, თევზსა და თაფლს, ყვავილებს.

**ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესება**
საქართველოს მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს სოფლად, სადაც საშუალო შემოსავალი ორჯერ ნაკლებია თბილისში არსებულ საშუალო შემოსავალზე.

მაგრამ სიღარიბესთან ბრძოლა სოფლად მხოლოდ სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებას არ ნიშნავს. ეს გულისხმობს ასევე სოფლის მეურნეობაზე, როგორც შემოსავლის უპირველეს წყაროზე, დამოკიდებულების შემცირებას. ENPARD-ის ფარგლებში გამოიყო 3 მილიონი ევრო ორი საპილოტე პროექტისათვის ისეთი სექტორების გასაძლიერებლად, როგორებიც არის ეკოტურიზმი, წარმოება და მომსახურება, ასევე დინამიკური შრომის ბაზრის შესაქმნელად. აღნიშნული ორი საპილოტე პროექტი ყურადღებას გაამახვილებს ისეთ ტერიტორიებზე, სადაც სოფლის მეურნეობა დაბალი მწარმოებლურობით გამოირჩევა, როგორიც არის მთიანი ადგილები.

# „ვარდი“: ვარდების მოყვანა აბაშაში

მდინარეების აბაშისა და ნოღელას შესართავთან მდებარე აბაშაში ბინა დაიდო ქალებისაგან შემდგარმა ჯგუფმა, რომლებმაც მიმდინარე წლის დასაწყისში წარმოუდგენელი ბიზნეს-ავანტიურა წამოიწყეს დასავლეთ საქართველოში მდებარე ქალაქისათვის, რომელშიც 6 400 ადამიანი ცხოვრობს: ვარდების მოყვანა სათბურებში.

40-60 წლის ქალები: ლეილა, ნანა, მანანა, ინგა და ნანა მთელი ცხოვრებაა მეგობრობენ - ყველა მათგანი განათლებული, საკუთარ საქმეზე შეყვარებული და უმუშევარია. ყველა გამოცდილი ფერმერია და წლების განმავლობაში ყოველდღიურად ერთად მუშაობდნენ, ოღონდ მათ მუშაობას თან არ ახლდა ბაზარზე ორიენტირებული მიდგომა.

სერიოზული ნახტომისათვის მათ სჭირდებოდათ მცირედი დახმარება - ზუსტად რომ ვთქვათ, 7 790 ევრო.

პროგრამა ENPARD-მა და საქართველოს კანონმდებლობაში ახლახან შეტანილმა ცვლილებებმა, რომლებიც მიზნად ფერმერთა ჯგუფებისთვის დახმარების გაწევას ისახავდა, დაარწმუნა ხუთი ქალი, ოფიციალურად დაერეგისტრირებინათ ფერმერთა კოოპერატივი. 2014 წლის აპრილში მათ განაცხადი შეიტანეს EN-PARD-ში და შერჩეულები იქნენ დაფინანსებისთვის და ტექნიკური დახმარების მიღებისთვის. 2014 წლის ოქტომბერში ისინი დარეგისტრირდნენ როგორც კოოპერატივი სახელწოდებით „ვარდი 2014“. დასაბრუნებელმა გრანტმა - ანუ ნულპროცენტიანმა სესხმა კოოპერატივის პროექტებისთვის მომავალი სესხების დასაფინანსებლად - 18 000 ლარის (7 790 ევრო) ოდენობით შესაძლებლობა მისცა მათ, აეშენებინათ 250 მ2-ის ფართობის სათბური 1600 ძირი ვარდით „ვარდი 2014“-ის თავმჯდომარის, ნანა ფანცულაიას კუთვნილ მიწის პატარა ნაკვეთზე. და დაიწყო მათი საქმიანობა.

ვარდების მოშენება მათი ოცნება იყო - განსაკუთრებით ავალანჟის და შავი ბაკარასი - მაგრამ იმისათვის, რომ ბიზნესი სტაბილური გამხდარიყო, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ბაზრის კვლევას, ტექნიკურ ცოდნას და მტკიცე გადაწყვეტილებას.

„ვარდი 2014“-მა აღმოაჩინა, რომ ყვავილების მოშენება იშვიათი საქმეა სამეგრელო- სვანეთის რეგიონში; კოოპერატივის ორმა წევრმა გაიარა ტრენინგი სათბურების ოპერირებაში და მიიღო ყვავილების მოშენების სპეციალიზაცია. და რაც შეეხება მტკიცე გადაწყვეტილებას, ეს ის არის, რაც ამ ხუთ ქალბატონს ნამდვილად არ აკლია.

„ჩვენი ბიზნესგეგმის მიხედვით, ორ წელიწადში ერთხელ ერთ ახალ სათბურს დავამატებთ. დღეს ჩვენ შეგვიძლია გავახაროთ 1600 ძირი, რომლებიც, ცხრა აქტიურ თვეში, 38 000 ვარდს გამოისხამენ, 38 000 ლარის (16 559 ევრო) საერთო ღირებულებით. ეს ნიშნავს 11 000 ლარის (4 793 ევრო) მოგებას, რომლის რეინვესტირებაც შეგვიძლია ჩვენს ბიზნესში“, - ამბობს ლეილა ჩოჩია, რომელმაც წამოჭრა სათბურის იდეა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოში გავლილი ტრენინგის შემდეგ.

„ვარდი 2014“ პიონერია, და არა მარტო მხოლოდ ქალების შემადგენლობის გამო. იგი ასევე ერთადერთი „სტარტაპ“ ბიზნესია იმ 11 კოოპერატივს შორის, რომლებიც შეარჩია კონსორციუმმა CARE-ის ხელმძღვანელობით და იგი იყო პირველი ჯგუფი მუნიციპალიტეტში, რომლის შექმნაც განაპირობა საინფორმაციო და სამობილიზაციო კამპანიამ - მას შემდეგ ფერმერთა კიდევ ოთხი ჯგუფი ჩამოყალიბდა.

მაგრამ ეს კოოპერატივი მეტია, ვიდრე უბრალოდ ბიზნესი. 2014 წლის დასაწყისში მისი ერთ-ერთი წევრი აპირებდა თურქეთში წასვლას სამუშაოს საძებრად, რათა ოჯახი გაეტანა.

,,ENPARD-ის პროექტმა მომცა შესაძლებლობა, დავრჩენილიყავი სამშობლოში, მიმეხედა ოჯახისთვის და თან შემოსავალიც მქონოდა.“

ეს პუბლიკაცია ევროკავშირის მხარდაჭერით გამოიცა. მისი შინაარსი მხოლოდ “Action Global Communications“-ის პასუხისმგებლობას წარმოადგენს და არ შეიძლება გაგებული იქნეს, თითქოს ის ევროკავშირის შეხედულებებს ასახავს.

**ENPARD-ის კომუნიკაციის განყოფილება**
საქართველო, თბილისი 0165,
ფალიაშვილის ქ. 84ა, ბინა 3
ტელ.: (995 32) 222 40 90